

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №122
2014 წლის 23 აპრილი

ქ. თბილისი

„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების (სსმ III, 08.04.2005 წ., №41, მუხლი 443) დანართი №1 „ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოკლევადიანი მივლინების დროს დაქირავებულისათვის სადღეღამისო ხარჯებისათვის და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმების“ პარაგრაფი:

„კვიპროსი	კვიპროსული ფრანკი	49	34	195“
-----------	-------------------	----	----	------

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კვიპროსის რესპუბლიკა	ევრო	87	60	145“
-----------------------	------	----	----	------

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

